ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის "ინოვაციების ცენტრი"

2009 წლის 10 დეკემბერს ატარებს პროფესორ-მასწავლებელთა მეორე სამეცნიერო კონფერენციას "მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო".

კონფერენციის ძირითადი მიმართულებებია:

1. 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა ბიზნესზე საქართველოში - რეალობა და განვითარების პერსპექტივები;
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები;
3. ეფექტიანი ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება საქართველოში (არსებული ვითარება და პერსპექტივები);
4. მეცნიერების, განათლების და ინოვაციური ბიზნესის ურთიერთკავშირი საქართველოში (არსებული ვითარება და პერსპექტივები).

კონფერენცია ჩატარდება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში (უნივერსიტეტის ქ. 2), 2009 წლის 10 დეკემბერს, 10.00 საათზე, აუდ. 206.

ნაშრომის ჩაბარების ბოლო ვადაა 2009 წლის 10 ნოემბერი.
მოხსენებები სამეცნიერო შრომების კრებულად გამოიცემა (1 გვერდის ფასი 5 ლარი).

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაბეჭდი და ელექტრონული სახით შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- Word, AcadNusx,
- სტილი – Normal,
- შრიფტი 12,
- ინტერვალი 1,5.
- ველების დაშორება: მარჯვენა–მარცხენა მხარეს – 2,5 სმ და 2,5 სმ;
  ზედა და ქვედა - 2,0 სმ და 2,5 სმ.

აგრეთვე აუცილებელია:

- მითითებული იყოს კონფერენციის მიმართულება.
- ინფორმაცია ავტორის შესახებ: სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი ან თანამდებობა, ელ–ფოსტის მისამართი, ტელეფონი.
- უშუალოდ მოხსენებაში გამოყენებული ლიტერატურის მითითება ტექსტის ბოლოს - ჩამონათვალის სახით.
- რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენაზე (<u>თემის დასახელებით, ავტორის სახელის და გვარის მითითებით</u>) - რეფერირებისთვის.

ზემოთ მოყვანილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება.

ნაშრომის განხილვის შემდეგ გადასახდელი თანხის ოდენობას შეგატყობინებთ ელ-ფოსტით.

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ელ–ფოსტა: conference.economic2009@gmail.com.
ვებ-გვერდი: www.novacen.economics.tsu.ge .